საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/141 "20" იანვარი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კომიტეტის შექმნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის №1/136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კომიტეტის შექმნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის №1/136 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ-თ" ქვეპუნქტები:

„ზ) რუსუდან ტუშური - გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში" კოორდინატორი;

თ) სულხან გამყრელიძე - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) პროექტის კოორდინატორი.";

ბ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. კომიტეტი დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს და მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს 2016 წლის 15 ოქტომბრამდე. აღნიშნული ვადა, კომიტეტის წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელებულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი